



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 501/ს
06/12/2022

501-21-4-202212061726



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომანქანათმშენებლის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი სამუშაოების (ნაპირდამცავი ნაგებობა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი ნაგებობის (ყორე-ბეტონის კონსტრუქცია) მოწყობის სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 6 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში მდ. ძირულას ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-117), რომლის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ვინაიდან, გვირაბების სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას წარმოიშვა შერჩეულ სანაყაროზე განსათავსებელი ქანების მოცულობის გაზრდის საჭიროება, საჭირო გახდა N7 სანაყაროსა და ნაპირსამაგრი კონსტრუქციის განსათავსებელი ქვების ზომების და განთავსების სტრუქტურის ცვლილება, უფრო ეფექტური ნაპირდაცვითი ფუნქციის უზრუნველსაყოფად, რაზეც 2021 წლის 7 მაისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი ნაგებობის (ფლეთილი ქვის კონსტრუქციის) მოწყობაზე სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-615), რომლის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ფუჭი ქანების N7 სანაყაროს პროექტის კორექტირება, რაც განპირობებულია სანაყაროს ნაპირდაცვითი კონსტრუქციის ცვლილების აუცილებლობით. უშუალოდ გვირაბების მოწყობის სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-615) გათვალისწინებული,

ყრილის დამცავი კონსტრუქციის ფლეთილი ქვით მოწყობა არის ტექნიკურად შეუძლებელი, ვინაიდან ფლეთილი ქვის ნაპირდაცვითი კონსტრუქციის - ქვანაყარი ბერმის მოსაწყობად ძირითადად გათვალისწინებული იყო 1 მ-ზე მეტი ზომის დიამეტრის ქვების გამოყენება, ხოლო ფაქტობრივად გამონამუშევარი ქანები ნაკლებად შეიცავს მსგავსი ზომის ქვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფლეთილი ქვის ნაპირდაცვითი კონსტრუქციის ყორე-ბეტონის კონსტრუქციით ჩანაცვლება. შესაბამისად, განხორციელდა ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის პროექტის ცვლილება, კერძოდ, კორექტირებული პროექტის მიხედვით, სანაყარო/ნაპირდაცვითი ნაგებობა ეწყობა იმავე ტერიტორიაზე და სანაყაროზე განსათავსებელი ქანების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 67300 მ³-ს, რაც დაახლოებით 104 მ³-ით მეტია თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ მოცულობაზე (67196 მ³), ხოლო ნაპირდაცვითი ნაგებობისათვის გათვალისწინებული ფლეთილი ქვის ჩანაცვლება ხდება ყორე-ბეტონის კონსტრუქციით, რომლის მოსაწყობად საჭიროა 1413 მ³ მოცულობის ქვა. კორექტირებული პროექტისა და ნაპირდაცვითი ნაგებობის სტრუქტურულიდან გამომდინარე, სანაყაროს მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის საერთო ფართობი იზრდება 14907 მ²-დან 15943 მ²-მდე, ხოლო ნაპირდაცვითი ნაგებობის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის საერთო ფართობი მცირდება დაახ. 6026 მ² -დან 2684 მ² -მდე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში გამონამუშევარი ფუჭი ქანების №7 სანაყაროს მდინარისპირა ფერდობის გამორეცხვისაგან დასაცავად. საპროექტო სანაყაროს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-363400; Y-4662744, X-363100.5; Y-4662764, X-363109.1; Y-4662795, X-363148.7, Y-4662812; X-363238.7; Y-4662807, X-363350; Y-4662785, X-363429.4; Y-4662766, ხოლო, საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-363116.4; Y-4662788, X-363156; Y-4662804; X-363196.6; Y-4662805, X-363266.5; Y-4662793, X-363422; Y-4662772, X-363370.6; Y-4662780, X-363319.1; Y-4662792, X-363226; Y-4662809. საპროექტო ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 79 მეტრით. ნაპირდაცვითი ნაგებობის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია ნაწილობრივ ფარავს ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთის (ს/კ: 36.08.33.855) ნაწილს. აღნიშნულთან დაკავშირებით მესაკუთრესთან გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო სანაყაროს სიგრძე შეადგენს დაახლოებით 280 მეტრს. სანაყაროს სიგანე, რელიეფის მიხედვით იცვლება 20 მეტრიდან 60 მეტრამდე. სანაყაროზე გათვალისწინებულია ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი 68713 მ³ მოცულობის ფუჭი ქანის განთავსება, საიდანაც 67300 მ³ განთავსდება უშუალოდ სანაყაროს ტერიტორიაზე, ხოლო 1413 მ³ მოცულობის ქვა გამოყენებული იქნება ნაპირსამაგრი ნაგებობის მოსაწყობად. სანაყაროზე განთავსებული ფუჭი ქანების ნაყარი შედგება ერთი ტერასისგან. მდინარე ძირულას მხარეზე მოქცეული სანაყაროს ფერდობის დახრილობა შეადგენს 1,5-ს, რაც დაყრილი გრუნტის ბუნებრივი დახრის კუთხეს შეესაბამება. სანაყაროს მთის ფერდობის მხარეზე მოქცეულ კიდეზე, გზის მხრიდან, გათვალისწინებულია 340 მეტრის სიგრძის ტრაპეციული განივი კვეთის ფორმის მქონე, არმირებული ბეტონით მოპირკეთებული წყალშემკრები (სადრენაჟე) არხის მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება სანაყაროს მიმდებარე ფერდობიდან ნალექების წყლის ნაკადების შეკრება და სანაყაროდან მოცილება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სანაყაროს მთლიანი მდინარისპირა ფერდობის გასწვრივ, გათვალისწინებულია 340 მეტრი სიგრძის ნაპირდამცავი საყრდენი კედლის და დამცავი ეკრანის მოწყობა. კედელი და ეკრანი ეწყობა ყორე-ბეტონით, რომელიც წარმოადგენს მშენებლობიდან გამოტანილი საშუალო ზომის 0,10-0,50 მ ქვებისა და B-20 მარკის ბეტონის ნარევის (შეფარდებით 50%-50%). საპროექტო ნაპირდამცავი კედლის ძირი 0,5 მ-ით დაბლაა მოსალოდნელი ადგილობრივი გარეცხვის დონიდან, ხოლო დამცავი ყორე-ბეტონის ეკრანის ქიმი, 40 სმ-ით მაღლაა მდინარის 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური საანგარიშო ხარჯის დროს წყლის დონესთან შედარებით.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 83 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1270 კმ². სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯი საანგარიშო 1%-იანი უზრუნველყოფის შემთხვევაში შეადგენს 520 მ³/წმ-ს, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე - 4,43 მ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 7,1 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის და სხვა დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია დაახლოებით ერთწლიან პერიოდში, ამასთან, უშუალოდ მდინარე ძირულას კალაპოტში განსახორციელებელი სამუშაოები შეზღუდული იქნება თევზის ტოფობის პერიოდში და განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 2 ექსკავატორი, 2 ბულდოზერი, 3 ბეტონმზიდი ავტომობილი, ბეტონსაქაჩი ტუმბო, 6 თვითმცლელი ავტომობილი და კომპაქტორი. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება ექსკავატორით სანაყაროს მდინარისპირა ფერდობის მოსწორება (საპროექტო ქანობით $m=1,5$), სანაყაროს ფერდობის ძირში ტრანშეის დამუშავება ნაპირდამცავი კედლის მოსაწყობად, რის შემდგომ მოხდება ყორე-ბეტონის ნაპირდამცავი კონსტრუქციის მოსაწყობად საჭირო ქვების გამორჩევა, შემოტანა და სანაყაროს დასაცავ ფერდობთან დასაწყობება, აღნიშნულის შემდგომ მოეწყობა ნაპირდამცავი კედელი. სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოხდება ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და გრუნტის ადგილზე მოსწორება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია მხოლოდ სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. სამუშაოები წარიმართება შეზღუდული დროის განმავლობაში, ამასთან მოხდება გრუნტის გზის რეგულარული დანამვა. ასევე, მისასვლელ გზაზე განხორციელდება სიჩქარის შეზღუდვა 10 კმ/სთ-მდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პერიოდში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება

დროებითი ხასიათი. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი შემოქმედება, საქმიანობის მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. ძირულას წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. ძირულას დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. პროექტის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის პროცესში სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება რეგულარულად, ხელშეკრულების საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ. ტერიტორიაზე განთავსდება ზეთის დაღვრაზე რეაგირების სპეციალური ნაკრები (ე.წ. Spill Kit). სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოებში. სამუშაოების დასრულების შემდგომ სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება პირვანდელი სანიტარული მდგომარეობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ჭალა-კალაპოტი აგებულია ზედა მეოთხეული ასაკის ალუვიური და ალუვიურ - პროლუვიური კენჭნარით, ქვიშნაროვანი შემავსებლით, კაჭარის ჩანართებით, მასალა საშუალოდ და კარგადაა დამუშავებულია. გაშიშვლებულ ჭრილებში კაჭარის შემცველობა 10%-მდეა. გამოიყოფა ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - კენჭნარქვიშნარი, ხრეშისა და კაჭარის შემადგენლობით. ნაპირდაცვითი ნაგებობის მოსაწყობად შერჩეულ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, ღვარცოფი) არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობიდან 1200 მ² ფართობზე განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება. აღნიშნული ნიადაგი სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლები, ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებისას გათვალისწინებულია 8 ერთეული მურყანის (*Alnus barbata*) მოჭრა, რაც შეთანხმებული იქნება შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმჭირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი სამუშაოების (ნაპირდამცავი ნაგებობა) განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო